სტვენია ენა





გსმენია სტვენის გაკვეთილების შესახებ? წაიკითხე ტექსტი და გეცოდინება, სად და რატომ ტარდება ასეთი გაკვეთილები.

წარმოიდგინე, რომ კლასში სხედან მოსწავლეები და უსტვენენ. მასწავლებელი კი კარგი სტვენის გამო მათ **აქებს**. ძნელია ამის დაჯერება, არა? თუმცა ეს ნამდვილად ხდება.

ატლანტის ოკეანეში, აფრიკასთან ახლოს, არის ასეთი კუნძული – გომერა. სწორედ გომერაზე აქვთ ბავშვებს ყოველდღე სტვენის გაკვეთილი. დავალებასაც სტვენაში აძლევენ. ალბათ, მაღალ ნიშანსაც მას უწერენ, ვინც კარგად უსტვენს. იცი, რატომ? სტვენის გაკვეთილი გომერელი ბავშვებისთვის მშობლიური ენის გაკვეთილია.

გომერელებს ორი ენა აქვთ: ერთი ენა ჩვეულებრივია – ესპანური, მეორე ენა კი **არაჩვეულებრივი** – სილბო. სილბო სტვენია ენაა.

სილბურად ნებისმიერი სიტყვის თქმა შეიძლება. ყველა სიტყვა, ყველა ხმოვანი და თანხმოვანი სტვენით წარმოითქმის. მაგალითად, სტვენით ამბობენ: „წადი ჩქარა, ფანჯარა დახურე, ქარია!“, სტვენითვე უპასუხებენ: „ახლავე, ახლავე, უკვე მივდივარ!“. სტვენით შეიძლება სიყვარულის ახსნაც და გალანძღვაც.

სილბოს ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს ძველი გომერელების – გუანჩების – მშობლიური ენაა. მე-15 საუკუნეში კუნძულ გომერაზე ესპანელები მოვიდნენ და მალე მათაც ისწავლეს სტვენით ლაპარაკი.

გომერა ლამაზი მთიანი კუნძულია. მთიდან მთამდე სტვენა უკეთესად ისმის, ვიდრე ყვირილი ან ლაპარაკი. ჰოდა, გომერელებიც სტვენით აგებინებდნენ ერთმანეთს სათქმელს, როცა მობილური არ იყო. ახლაც შეუძლიათ ფული **დაზოგონ** და მობილურზე დარეკვის **ნაცვლად** დაუსტვინონ. მახლობელ მთებზე ყველაფერს გაიგონებენ. ამბობენ, სილბოზე „ნათქვამი“ სიტყვები **თითქმის** 3 კილომეტრზე ისმისო.

გომერელები ძალიან უვლიან თავიანთ ენას. არ უნდათ, რომ მათი საოცარი სტვენია ენა **გაქრეს**, ამიტომაც ასწავლიან სტვენას სკოლაში. სტვენია ენა – სილბო – ყველა გომერელმა ბავშვმა უნდა იცოდეს.

თუ დაგაინტერესა სტვენია ენის ამბავმა, შეგიძლია Google-ში მოძებნო „ენა სილბო“. ინტერნეტში ნახავ ვიდეოს გომერელი ბავშვების სტვენის გაკვეთილის შესახებ.

რა მოგეწონა ყველაზე მეტად ამ ტექსტში?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რა უცნაურობით გამოირჩევა კუნძული გომერა?

ა) აქ ბავშვებს სტვენის გაკვეთილები უტარდებათ.

ბ) აქ მოსახლეობა ესპანურ ენაზე ლაპარაკობს.

გ) იგი ატლანტის ოკეანეში მდებარეობს.

2 რით განსხვავდება სილბო სხვა ენებისაგან?

ა) ამ ენაზე ურთიერთობა ყველგან ადვილია.

ბ) ამ ენაზე ყველა სიტყვა სტვენით წარმოითქმის.

გ) ამ ენას დიდი ხნის ისტორია აქვს.

3 ტექსტის მიხედვით, რატომ იყენებენ გომერელები სტვენია ენას ურთიერთობისას?

ა) მთიან კუნძულზე მობილურის გამოყენება რთულია.

ბ) მთიან კუნძულზე მხოლოდ ძველი გუანჩები ცხოვრობენ.

გ) მთიან კუნძულზე სტვენა შორ მანძილზე კარგად ისმის.

4 რით მოსწონთ გომერელებს თავი?

ა) თავიანთი მთიანი კუნძულით.

ბ) თავიანთი სტვენია ენით.

გ) ესპანური ენის ცოდნით.

5 რა მიზნით სწავლობენ გომერელები სტვენას სკოლაში?

ა) მასწავლებლის ქება რომ დაიმსახურონ.

ბ) მობილური რომ არ დასჭირდეთ.

გ) სილბო რომ არ დაავიწყდეთ.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. სილბო **არაჩვეულებრივი** ენაა.
   ა) მდიდარი. ბ) საოცარი. გ) ცნობილი.
2. გომერელები დარეკვის **ნაცვლად** უსტვენენ.
   ა) გამო. ბ) დროს. გ) მაგივრად.
3. სიტყვები **თითქმის** სამ კილომეტრზე ისმის.
   ა) გარკვევით. ბ) დაახლოებით. გ) ზუსტად.

2 ხაზებით შეაერთე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები).

1. აქებს	ხარჯავს
2. ზოგავს	ჩნდება
3. ქრება	ლანძღავს

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე ფრჩილებში ჩასმული სიტყვა საჭირო ფორმით.

1. (*ფანჯარა*) ---------- დახურვა არ დაგავიწყდეს!
2. (*კუნძული*) ---------- გომერაზე გუანჩები ცხოვრობდნენ.
3. (*მახლობელი*) ---------- მთებზე სტვენა კარგად ისმის.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. გომერელებს ძალიან უყვართ ---------- ენა. ***(თავისი / თავიანთი)***
2. სკოლაში აქებენ მას, ---------- სტვენა კარგად იცის. ***(ვინც / რომელმაც)***
3. ყველა ესპანელი სტვენია ენით ---------- . (***ალაპარაკდა/ალაპარაკდნენ***)

გრამატიკა

3 **სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.**

1. გომერელი ---------- . **(ენა / ბავშვი)**
2. გომერული ---------- . **(სკოლა / მოსწავლე)**
3. ესპანელი ---------- . **(მასწავლებელი / სიტყვა)**
4. ესპანური ---------- . **(სტუმარი / ლაპარაკი)**

4 **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: რა? *რას აკეთებს?*
ყვირილი **ყვირის**

1. ლაპარაკი – ---------- .
2. სტვენა – ---------- .

წერა

1 **დაწერე შემაჯამებელი ტექსტი „სტვენია ენა“. ამისათვის გამოიყენე ტექტის გააზრებისთვის დასმული კითხვები და შენი პასუხები.**

მაგალითად, დაიწყე ასე:

კუნძული გომერა გამოირჩევა იმით, რომ... ----------
(ეს წინადადება დაასრულე პირველი შეკითხვის სწორი პასუხის მიხედვით. შემდეგ გადადი მეორე შეკითხვაზე და ა. შ.)

---

2 **შემაჯამებელი ტექსტის ბოლოს დაწერე, კიდევ რა შეიძლება გააკეთონ გომერელებმა ისეთი, რომ მათი ენით სხვებიც დაინტერესდნენ.**